

მეთოდური რეკომენდაციები

ზიანის შემცირების სერვის ცენტრებისათვის COVID– 19-ის ფართო გავრცელების პირობებში სამუშაოდ

სახელმძღვანელო მომზადდა შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან
ბრძოლის გლობალური ფონდის „ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლებისა და
მათი სქესობრივი პარტნიორებისათვის აივ პრევენციული სერვისების მიწოდება“
ფარგლებში

შესავალი

მცირე ინფორმაცია კორონავირუსის და კორონავირუსული ინფექციის შესახებ

კორონავირუსული ინფექცია (COVID – 19) დღესდღეისობით დაფიქსირებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, დაინფიცირებულია 500,000-მდე პირი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა პანდემიური მდგომარეობა, რამდენადაც არსებობს დიდი საშიშროება დაინფიცირდება რამდენიმე მილიონი ადამიანი. ვირუსით გარდაცვალება შეადგენს 2-3%-ს ზოგად მოსახლეობაში.

კორონავირუსის გადაცემა და სიმპტომები

როგორც წესი, კორონავირუსული ინფექცია გადაეცემა წვეთოვანი გზით დაავადებულ ადამიანთან ახლო კონტაქტით: ხველით, ცემინებით, თვალზე, პირზე და ცხვირზე დაუბანელი ხელის შეხებით, დაავადებულებთან მჭიდრო კონტაქტით - შეხება, ხელის ჩამორთმევა. დაინფიცირება ხდება ასევე ვირუსით დაინფიცირებულ ზედაპირებთან შეხებით და შემდგომში ლორწოვან გარსებზე გადატანით.

ვირუსით ინფიცირება ადვილად იწვევს ავადობას. უმეტეს შემთხვევაში ვლინდება ჩივილები, რომელიც ჰგავს მარტივ ვირუსულ ინფექციას, თუმცა მომატებული რისკის მქონე პირებში (ნარკოტიკების მომხმარებლები, თანმხლები ქრონიკული დაავადებების მქონე და ხანდაზმული პირები) შესაძლოა ინფექციას ჰქონდეს მძიმე მიმდინარეობა და საჭირო გახდეს ჰოსპიტალიზაცია.

კორონავირუსი დიდხანს ძლებს ზედაპირებზე: სახელოებზე, სავარძლის ზედაპირებზე და მათ შორის საინექციო და არასაინექციო ინსტრუმენტებზე. შუშის, მეტალის და ხის საგნებზე ვირუსი ჩერდება 4-5 დღე, პლასტმასზე 9 დღემდე, ხელზე რამდენიმე წუთი, ხოლო პირბადესა და ტანსაცმელზე 24 საათი, ჰაერში კი 45 წუთამდე.

დაავადება ხასიათდება რესპირატორული ინფექციის სიმპტომებით: სიცხე, ხველა, ყელის ტკივილი და სუნთქვის გაძნელება, კუნთების ტკივილი და დაღლილობის შეგრძნება.

მიუხედავად იმისა, რომ COVID-19 დაავადება ჩვეულებრივ მსუბუქად მიმდინარეობს და ადამიანების უმეტესობა სწრაფად გამოჯანმრთელდება, ეს შეიძლება წარიმართოს მძიმედ ადამიანების გარკვეული ჯგუფებისთვის, მათ შორის ასაკოვანი ან დაბალი იმუნიტეტის მქონდე პირებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლები (ნიმ) წარმოადგენენ ადვილად მოწყვლად ჯგუფს აღნიშნული კორონავირუსით ინფიცირებისადმი, რადგანაც მათ ხშირ შემთხვევაში აღნიშნებათ ღვიძლის, შარდ-სასქესო, გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებები, ასეთ დროს კორონავირუსულ ინფექციას მძიმე მიმდინარეობა ახასიათებს. გარდა ამისა, არასათანადო საცხოვრებელი პირობები და ჰიგიენაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა ზრდის მათი ინფიცირების და ლეტალური შედეგის განვითარების რისკს.

გამომდინარე აქედან, კორონავირუსის ეპიდემიის დროს მეტად მნიშვნელოვანია ნიმებისთვის დაბალზღურბლოვანი სერვისების უწყვეტად მიწოდება ეპიდემიის გავრცელების პრევენციისათვის აუცილებელი ზომების ზედმიწევნით დაცვის გზით.

COVID-19-ის ფართო გავრცელებასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმა ზიანის შემცირების სერვის ცენტრებისათვის

კორონავირუსის ეპიდემიის პირობებში ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლებისთვის უწყვეტად გრძელდება სერვისების მიწოდება, როგორც შპრიცების და ნემსების, ასევე ჩანაცვლებით თერაპიის პროგრამებით. სერვისების უწყვეტი მიწოდება უნდა შენარჩუნდეს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პირობებშიც, რამდენადაც ზიანის შემცირება სწორედაც რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნებს ემსახურება, (პრევენციული მომსახურება: ინფექციური დაავადებების, ზედოზირების პრევენცია) და მისი შეწყვეტა დააზიანებს სამიზნე ჯგუფს, რომელიც ისედაც მოწყვლადია სხვადასხვა ვირუსული და ბაქტერიული ინფექციებისადმი.

სერვის ცენტრებმა მუშაობის პირობებში უნდა იზრუნონ, როგორც თანამშრომლების, ასევე პროექტის ბენეფიციარების უსაფრთხოებაზე.

I სერვის ცენტრებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით:

- სერვის ცენტრები ძირითადად გადადიან დისტანციური მუშაობის გრაფიკზე.
- ოფისში არ არის რეკომენდირებული 2-3-ზე მეტი რაოდენობის პერსონალის ერთოთულად საქმიანობა;
- რეკომენდებულია ოფისში მუდმივად იყოს ლაბორანტი (ტესტირებების უწყვეტობის შესანარჩუნებლად) და სოც მუშაკი ან ნკტ კონსულტანტი, რომელიც შეძლებს რისკ კონსულტირების გაწევას ადგილზე მოსული კლიენტებისთვის;
- იზრდება ერთ კლიენტზე ერთ ჯერზე გასაცემი სახარჯი მასალების რაოდენობა, რაც შეადგენს მინიმუმ 1 კვირის სამყოფს. ეპიდემიის მდგომარეობიდან გამომდინარე შესაძლებელია 3-4 კვირის სამყოფი სახარჯი მასალების (შპრიცები, ნემსები, პეპლები, სპირტიანი ტამპონები, კონდომები, ნალოქსონი და სხვა) გაცემაც.
- სერვის ცენტრების სამუშაო გრაფიკი რჩება იგივე 10:00 – 18:00 საათამდე;
- სერვის ცენტრებში დროებით უქმდება თანასწორთა საგანმანათლებლო შეხვედრების და პაციენტთა სკოლების ორგანიზება/ჩატარება, იკრძალება ნებისმიერი თავყრილობა;
- სერვის ცენტრში მუშაობს სატელეფონო ცხელი ხაზი, კლიენტებთან კონტაქტი ასევე შესაძლებელია ონლაინ „მესენჯერის“ საშუალებითაც (ორგანიზაციის; ავთორიზ მუშაკის), აგრეთვე კლიენტებს აქვთ რუტინული კონტაქტი ავთორიზ მუშაკებთან საჭირო მასალების ან მათთვის საჭირო სერვისებზე ინფორმაციის მისაღებად;
- სერვის ცენტრების კოორდინატორებმა უნდა უზრუნველყონ პერსონალის შესაბამისი მომზადება ახალი COVID-19 ინფექციის, გადაცემის გზების პრევენციის შესახებ;
- სერვის ცენტრები უზრუნველყოფენ შემდეგი მასალების მომარაგებას სერვისის მისაწოდებლად: ერთჯერადი ხალათი, სათვალე (თუმცა სპეც სათვალის მაგივრად ჩვეულებრივი სათვალეც შეიძლება), სანიტაიზერები, სითხის გასაფრქვევი

პლასტმასის ჭურჭელი დეზინფექციისთვის, საპნები თხევადი, დისტანციური თერმომეტრი;

- უსაფრთხოების მიზნით, პერსონალი იყენებს როგორც ერთჯერადი, ასევე მრავალჯერადი გამოყენების პირბადეებს, რომელიც ირეცხება ყოველდღე და უთავდება 60 გრადუსზე. შესაძლებლობის შემთხვევაში, სერვის ცენტრები თავად ამზადებენ პირბადეებს, როგორც თანამშრომლებისთვის, ასევე პროექტის ბენეფიციარებისთვისაც.
- სერვის ცენტრის ხელმძღვანელი სამუშაო გუნდს უნაწილებს სამუშაოს და უზრუნველყოფს სამუშაო პროცესში მათ თანაბარ ჩართულობას. თუმცა ეპიდემიის სპეციფიკიდან გამომდინარე რეკომენდირებულია გარკვეული თანამშრომლების სრული დისტანცირება საოფისე მუშაობისგან, მათ შორისაა ორსულები, 65 წელზე უფროსი ასაკის და მძიმე ქრონიკული დაავადები მქონე პირები. გარდა ამისა, საშეღავათო სამუშაო პირობები ექმნებათ მცირეწლოვანი შვილების მშობლებს (ვისაც არ ყავს ბავშვების დამტოვებლები სკოლისა და ბაღების დახურვის გამო) და ეძლევათ რეკომენდაცია უფრო მეტად გადავიდნენ დისტანციურ მუშაობაზე, ხოლო ხელმძღვანელებს აქვთ უფლება ასეთი თანამშრომლებისთვის განსხვავებული სამუშაო პირობა შექმნან (უფრო მარტივი) ან შესთავაზოთ შვებულება.
- რეკომენდირებულია სერვის ცენტრებში თანამშრომელთა მუშაობა მოხდეს როტაციის პრინციპით, შედგეს 7 ან 14 დღიანი სამუშაო გრაფიკით სამუშაო ჯგუფები მაქსიმუმ 3 ადამიანის შემადგენლობით;
- ონლაინ მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის შეტანა უნდა იყოს უზრუნველყოფილი. აღნიშნულის შესაბამისად მოხდება დამფინანსებელთან ანგარიშგება;
- რეკომენდირებულია თითოეულმა სერვის ცენტრში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულ იქნას ხელის დაბანის, მყარი ზედაპირების დამუშავების ინსტრუქციები, ინსტრუქციები ხველის და ცემინების ჰიგიენის შესახებ, ასევე კლიენტთან უსაფრთხო მუშაობის ინსტრუქციები;
- ოფისის შესასვლელში და სხვა ოთახებშიც ხელმისაწვდომ ადგილზე დამონტაჟებულ უნდა იქნეს ხელების სადეზინფექციო დისპენსერები, რომლებიც რეგულარულად ივსება სითხით;
- მძღოლებს დაევალოთ მუშაობის ყველა ეტაპზე ორგანიზაციის იმ თანამშრომლების ტრანსპორტირება, რომელთაც არ ჰყავთ საკუთარი ტრანსპორტი და სარგებლობენ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, რათა ამ გზით აცილებულ იქნას შესაძლო დაინფიცირების რისკი;
- მძღოლებს დაევალოთ უსაფრთხოების ყველა ზომის მიღება (საჭირო აღჭურვილობის გამოყენება, ავტომობილების დეზინფექცია და ყოველდღიური შიდა დასუფთავება);
- დამლაგებლებს, გარდა ჩვეული საქმიანობებისა, დაევალოთ რეკომენდაციების შესაბამისი სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება;
- რეკომენდირებულია სერვის ცენტრში ეპიდემიის შესაბამისად მომზადდეს შიდა ბრძანება, სადაც გაწერილი იქნება თანამშრომელთა სამუშაო გრაფიკში შესული ყველა ცვლილება და მათი სამუშაო დატვირთვები. სერვის ცენტრის ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს პერსონალის ინფორმირებულება ყოველი ცვლილების შესახებ;

- მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს კლიენტების თავყრილობა შიგნით ოფისში, უმჯობესია მასალების გაცემა მოხდეს ფანჯრიდან. კლიენტი ოფისში შედის მხოლოდ ტესტირების მიზნით;
- უსაფრთხოების მიზნით, უმჯობესია, თუკი სერვის ცენტრში მისულ ბენეფიციართან გამოყენებულ იქნება დისტანციური თერმომეტრი ოფისში შემოსვლამდე. დისტანციური თერმომეტრით მოხდება ტემპერატურის გაზომვა კარის ზღურბლთან და თუ აღმოაჩნდება ტემპერატურა, ასეთი ბენეფიციარი ვერ შევა ოფისში;
- თუკი ხდება ახლო კონტაქტი და ადამიანი შედის დახურულ სივრცეში/ოფისში აივ ინფექციაზე ტესტირების მიზნით, საჭიროა პერსონალმა დამატებით გამოიყენოს დამცავი სათვალე და ხალათი;
- კონსულტირებისათვის ოფისში უნდა მოეწყოს შესაბამისი, კარგი განიავების შესაძლებლობის მომცემი ოთახი და შემცირდეს კონსულტირების ხანგრძლივობა (10 წთ);
- კონსულტანტსა და ბენეფიციარებს შორის დისტანციის დაცვის მიზნით კონსულტანტის სამუშაო სივრცე მოეწყოს შესაბამისად (დაიდგას ერთზე მეტი მაგიდა, რომ უზრუნველყოფილ იქნას მინიმუმ 1.5 მეტრის დისტანცია);
- ყოველდღიური მუშაობისთვის სერვის ცენტრის პერსონალი იყენებს ერთჯერად ხელთათმანებს არა მხოლოდ ტესტირებისთვის, არამედ კლიენტთან ყოველი კონტაქტის და სერვისის მიწოდების დროს;
- ხელთათმანის ჩაცმამდე პერსონალმა უნდა დაიმუშაოს ხელი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციის შესაბამისად (იხილეთ სურათი ქვემოთ). გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში კლიენტებს აძლევს საშუალებას დაიბანონ ხელები ოფისში (მაგ. ტესტირების ჩატარებამდე და მის შემდეგ). ხელთათმანის ჩაცმის შემდეგ იკეთებს ნიღაბს, ხოლო მოხსნისას საჭიროა პოლიეთილენის 2 პარკის გამოყენება, რომელშიც ჩაიყრება მოხმარებული ნივთები და მოთავსდება ნაგავში;
- სერვის ცენტრის პერსონალისთვის რეკომენდირებულია სპირტის შემცველი დასამუშავებელი ინდივიდუალური ხსნარების გამოყენება, რომელიც უმჯობესია ჩაისხას პატარა პლასტმასის ბოთლებში, რომელსაც აქვს გამაფრქვეველის ფუნქცია და მარტივია გამოსაყენებლად კლიენტთან ან პოტენციური ინფექციის წყაროსთან კონტაქტის შემდეგ;
- ოფისში მისულ ნიმ-ებს ცენტრის თანამშრომლები ნიმ-ებს და მათ სქესობრივ პარტნიორებს უტარებენ ხელის სწორად დასუფთავების ინსტრუქტაჟს სურათზე მოცემული სქემის შესაბამისად და სთავაზობენ ხელ-პირის დასაბან პირობებს - ცხელი წყალი და საპონი, აგრეთვე სანიტაიზერებს;
- რეკომენდირებულია რისკის ან ნებისმიერი ტიპის სამედიცინო ან ფსიქოლოგიური კონსულტირება ჩატარდეს ტელეფონით, მეილით ან ონლაინ;
- რეკომენდირებულია სერვის ცენტრის შესასვლელში დამონტაჟდეს დეზობარიერი;
- სერვის ცენტრების დისტანციური მუშაობის პირობებში მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული შპრიცების დასარიგებელი აპარატების/სიგმა აპარატების მუშაობა. აპარატები ხელმისაწვდომია თბილისში (წლის ბოლომდე იქნება რუსთაველი). მსგავს ეპიდ სიტუაციაში ამ აპარატებს განსაკუთრებული სარგებლობის მოტანა შეუძლიათ, რამდენადაც უზრუნველყოფენ 10-მდე საჭირო პაკეტის მიწოდებას ნიმ-ებისა და მათი

პარტნიორებისთვის ადამიანიდან-ადამიანთან კონტაქტის გარეშე, რაც მინიმუმამდე ამცირებს ვირუსის გავრცელების რისკს;

- სიგმა აპარატებისთვის მასალების შეფუთვის დროს მნიშვნელოვანია მასალების უსაფრთხოდ მომზადება. პირი, რომელიც ახარისხებს მასალებს, წინასწარ იმუშავებს ხელეხს, იკეთებს ხელთათმანს და პირბადეს;
- თუ რომელიმე სერვის ცენტრში დაფიქსირდა ინფექციის კერა და დაინფიცირდა სერვის ცენტრის თანამშრომელი, ამ შემთხვევაში მოხდება მისი ჰოსპიტალიზაცია, შემთხვევა გადაეცემა ეპიდემიოლოგიურ სამსახურს, რომელიც დაიწყებს კონტაქტების კვლევას, საჭიროების შემთხვევაში გასცემენ თანამშრომელთა თვითიზოლაციის რეკომენდაციას. ასეთ შემთხვევაში სერვის ცენტრი ექვემდებარება დეზინფექციას, სხვა შემთხვევაში სერვის ცენტრში სპეციალური სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება რეკომენდირებული არ არის, გარდა ყოველდღიური რუტინული დეზინფექციისა;
- თუკი პროექტის კლიენტები ამავდროულად ჩართული არიან ჩანაცვლებით თერაპიაში, მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერა რამდენიმე დღის დოზის სახლში წასაღებად. ამ დროს შესაძლებელია მათთვის ერთჯერადი კონტეინერების შესყიდვა და მიწოდება;
- ყოველდღიურად ხდება სერვისის მიწოდების ადგილის დამუშავება სადეზინფექციო სითხით შესაბამისი პირობების დაცვით. იხილეთ დასუფთავების წესები ქვემოთ „COVID-19-ისადმი ექსპოზირებული არასამედიცინო ობიექტების დასუფთავების დროებითი რეკომენდაციები“.

II ავთორი მუშაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით:

- საველე სამუშაოებს ავთორი მუშაკები ახორციელებენ სათანადო აღჭურვილობით (პირბადე, ხელთათმანი, სადეზინფექციო ხსნარი) და უსაფრთხოების ზომების დაცვით;
- ავთორი მუშაკებს ოფისში ეძლევათ განსაზღვრული რაოდენობით სახარჯი მასალები, ისინი კლიენტებს ოფისის გარეთ/საცხოვრებელ ან კლიენტის მითითებულ მისამართზე გადასცემენ საჭირო მასალას, ასევე უტარებენ რისკის კონსულტირებას;
- ავთორი მუშაობის დროს სახარჯი მასალების გადაცემისას ან რისკის კონსულტირების დროს რეკომენდირებულია 1 მეტრიანი დისტანციის დაცვა (3 ნაბიჯის დაშორებით). გარდა ამისა, მიზანშეწონილია შემცირდეს გასვლითი საველე სამუშაოებისას პირისპირ კონტაქტის ხანგრძლივობა;
- ავთორი მუშაობისას იკრძალება აივ ტესტირების ჩატარება სისხლის ნიმუშზე, თუმცა ხელმისაწვდომობის შემთხვევაში რეკომენდირებულია აივ თვით ტესტის დარიგება ნიმ-ებისა და მათი სქესობრივი პარტნიორებისთვის. რამდენადაც კლიენტი ინდივიდუალურად იტარებს ტესტირებას სახლში/მისთვის ხელსაყრელ პირობებში, არ დგება საჭიროება სხვა პირი დაესწროს ტესტირებას, შესაბამისად უსაფრთხოა COVID-19-ის პრევენციის მიზნითაც;

- ავთორიზ მუშაკები აგრძელებენ კლიენტების მხრიდან მათთვის სამედიცინო სერვისებზე უარის თქმის, სტიგმისა და დისკრიმინაციის ფაქტების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და იურისტთან გადამისამართებას ადამიანის უფლებების დარღვევებზე დროული რეაგირების მიზნით;
- თუ ბენეფიციარი არის თვითიზოლაციაში, მისთვის განკუთვნილ საინექციო მასალების პაკეტში გარდა არსებული ჩამონათვალისა, სასურველია გათვალისწინებული იყოს ჩვეულებრივი თერმომეტრი, საპონი და ერთჯერადი ან მრავალჯერადი პირბადე;
- ავთორიზ მუშაობის დროს, ასევე ონლაინ პლატფორმების საშუალებით, სერვის ცენტრების პერსონალი ნიმ-ებს უზიარებენ ინფორმაციას იმ რისკების შესახებ, რაც დაკავშირებულია COVID-19-ით ინფიცირების უსაფრთხოებასთან, აგრეთვე სხვა თანმხლები დაავადებებისას ზიანის შემცირების მიზნით. იხილეთ დანართი ქვემოთ „რეკომენდაციები ნარკოტიკების მომხმარებლებს COVID-19 კორონავირუსის შესახებ“;




0
დაისველეთ ხელები
წყლით



1
დაისხით იმდენი საპონი,
რომ ხელებზე გეყოთ




2
მოუსვით ერთმანეთზე
ხელისგულები



3
აიქაფეთ თითებს შორის
ადგილები ორივე ხელით



4
გააკეთეთ იგივე ხელების
შიგნითა ნაწილით




5
მოხრილი თითებით
აიქაფეთ ხელისგულები




6
დაიბანეთ მარჯვენა და
მარცხენა ცერა თითები




7
მორკალული თითები
მოისვით ხელისგულებზე




8
დაიბანეთ ხელები
წყლის ქვეშ



9
გაიმშრალეთ ერთჯერადი
ხელსახოცი



10
დაკეტეთ ონკანი
ხელსახოცი



11
ახლა თქვენი ხელები
უსაფრთხოა

COVID-19-ისადმი ექსპოზირებული არასამედიცინო ობიექტების დასუფთავების დროებითი რეკომენდაციები

(საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად)

წინამდებარე დოკუმენტის მიზანი: არასამედიცინო დაწესებულებებში, რომლებშიც ჰოსპიტალიზაციამდე პერიოდში იმყოფებოდნენ ახალი კორონავირუსით (COVID-19) დაინფიცირებული/დაავადებული პირები, დასუფთავების რეკომენდაციები. აღნიშნული მითითებები ემყარება COVID-19 -ის შესახებ არსებულ ცოდნას და სხვა კოროვირუსებზე ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე მტკიცებულებებს.

პოტენციურად დაბინძურებული ოთახები, ზონები, სათავსები, მათ ხელახლა გამოყენებამდე, აუცილებლად უნდა გაიწმინდოს, ანტიმიკრობული (სადეზინფექციო) საშუალებებით რომლებიც, ეფექტურია კორონავირუსების წინააღმდეგ. მტკიცებულებების არ არსებობის მუხედავად SARS-CoV-2-ის წინააღმდეგ, წყლით და საყოფაცხოვრებო სარეცხი საშუალებებით დასუფთავების ჩატარება დასაყოფაცხოვრებო სადეზინფექციო საშუალებების გამოყენება პროფილაქტიკური დასუფთავების ჩასატარებლად საკმარისია. ჩატარებულია კვლევები რამდენიმე ანტიმიკრობული საშუალების ეფექტურობის შესაფასებლად კოროვირუსების წინააღმდეგ. მითითებული ნივთიერებები აქტიური ინგრედიენტის (მაგ: ნატრიუმის ჰიპოქლორიტი (შედის საყოფაცხოვრებო მათეთრებლის შემადგენლობაში) და ეთანოლი), ფართოდაა ხელმისაწვდომი.

ბოლოდროინდელ კვლევებში, შედარებულია სხვადასხვა დეზინფექციის საშუალებების ეფექტურობა. დადგენილია, რომ მყარ ზედაპირთან კონტაქტიდან ერთი წუთის შემდეგ, 70% კონცენტრაციის მქონე ეთანოლს, შედარებით უფრო ძლიერი გავლენა აქვს სხვადასხვა კორონავირუსისზე 0.06%-იანი ნატრიუმის ჰიპოქლორიტისგან განსხვავებით. SARS-CoV-ის გამოყენებით ჩატარებულმა ტესტებმა აჩვენა, რომ ნატრიუმის ჰიპოქლორიტი ასევე ეფექტურია 0.05 და 0.1% კონცენტრაციაში გამოყენებიდან ხუთი წუთის შემდეგ. მსგავსი შედეგები მიღებული იქნა საყოფაცხოვრებო სარეცხი საშუალებების გამოყენების დროსაც, რომლებიც შეიცავენ ნატრიუმის ლაურეტსულფატს, ალკილისპოლიგლიკოზიდებს და კოკო-ცხიმოვანი მჟავას დიეტანოლამიდს.

ცხრილი 1. ანტიმიკრობული აგენტები, რომლებიც ეფექტურია სხვადასხვა კოროვირუსების საწინააღმდეგოდ (ადამიანის კორონავირუსი 229E (HCoV-229E), თავის ჰეპატიტის ვირუსი (MHV-2 და MHV-N), ძალის კორონავირუსი (CCV), გასტროენტერიტის გადამდები ვირუსი (TGEV) და მძიმე მწვავე რესპირატორული სინდრომის კორონავირუსი (SARS) -CoV)).

- ანტიმიკრობული აგენტი კონცენტრაცია Coronaviruses tested
- ეთანოლი 70% HCoV-229E, MHV-2, MHV-N, CCV, TGEV
- ნატრიუმის ჰიპოქლორიტი 0.1-0.5%
- 0.05-0.1%
- HCoV-229E
- SARS-CoV
- პოვიდონ-იოდი 10% (1% იოდი) HCoV-229E
- გლუტარალდეჰიდი 2% HCoV-229E
- იზოპროპანოლი 50% MHV-2, MHV-N, CCV
- ბენზალკონიუმის ქლორიდი 0.05% MHV-2, MHV-N, CCV

- ნატრიუმის ქლორიტი 0.23% MHV-2, MHV-N, CCV
- ფორმალდეჰიდი 0.7% MHV-2, MHV-N, CCV

დასუფთავების რეკომენდებული წესი: მიზანშეწონილია 0,1%-ი ნატრიუმის ჰიპოქლორიტის (ანუ ნეიტრალური სარეცხი საშუალება) გამოყენება (განზავება 1:50 თუ გამოყენებულია საყოფაცხოვრებო მათეთრებელი - საწყისი 5%-იანი კონცენტრაციით) ზედაპირების დეკონტამინაციის მიზნებისათვის, ზედაპირებისთვის, რომლებიც შეიძლება დაზიანდეს ნატრიუმის ჰიპოქლორიტის შედეგად, დეკონტამინაციისთვის შესაძლოა 70%-ი კონცენტრაციის ეთანოლის ან სხვა პრეპარატის გამოყენება, ნეიტრალური სარეცხი საშუალებით გაწმენდის შემდეგ.

დასუფთავება უნდა განხორციელდეს შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) გამოყენებით (იდს-ს სწორად ჩაცმისა და გახდის წესები შეგიძლიათ იხილოთ ECDC- ს ტექნიკურ დოკუმენტში "ინდივიდუალური დაცვის საშუალებების უსაფრთხო გამოყენება მაღალი გადამდებლობის მქონე ინფექციური დაავადებების შემთხვევაში", და ან www.ncdc.gov ვებგვერდზე).

ერთჯერადი PPE უნდა განიხილებოდეს, როგორც პოტენციურად ინფექციური მასალა და განადგურებულ იქნას დამტკიცებული წესების შესაბამისად. რეკომენდებულია ერთჯერადი ან სპეციალური დანიშნულების დასუფთავების მოწყობილობის გამოყენებაც. მრავალჯერადი გამოყენების PPE სამუშაოს დამთავრების შემდგომ უნდა იყოს დეზინფიცირებული (მაგ: 0.1% ნატრიუმის ჰიპოქლორიტი ან 70% ეთანოლი). ყველა ქიმიური პროდუქტების გამოყენებისას, დაცული უნდა იყოს მწარმოებლის რეკომენდაცია. დასუფთავების მიზნით ქიმიური პროდუქტის გამოყენებისას როგორც წესი აუცილებელია ობიექტის განიავება, დასუფთავების განმახორციელებელი პირების ჯანმრთელობის დასაცავად.

სავარაუდოდ SARS-CoV 2-ით კონტამინირებული ობიექტების დასუფთავებისთვის რეკომენდებულია:

- ფილტრის მქონე ნიღაბი (FFP) რესპირატორები, კლასი 2 ან 3 (FFP2 ან FFP3);
- სათვალე ან სახის დამცავი ფარი;
- ერთჯერადი/მრავალჯერადი გრძელმკლავიანი წყალგაუმტარი ტანსაცმელი;
- ერთჯერადი ხელთათმანები.

განსაკუთრებით კარგად უნდა გაიწმინდოს ისეთი ზედაპირები, რომლებთანაც ხშირად ხდება შეხება (კედლები, კარები, სახელოები, საჭე, ფანჯრები, უნიტაზი, აბაზანის ზედაპირები). ყველა ქსოვილი (მაგალითად, თეთრეული, ფარდები და ა.შ.) უნდა გაირეცხოს ცხელი წყლის ციკლის გამოყენებით (90°C) და სარეცხი საშუალების დამატებით.

რეკომენდაციები ნარკოტიკების მომხმარებლებს COVID-19 კორონავირუსის შესახებ

რეკომენდაციების მიზანია ნარკოტიკების მომხმარებელთა ინფორმირება კორონავირუსის შესახებ და ზიანის შემცირების რჩევების გაზიარება. გაავრცელეთ ინფორმაცია თემში ფართოდ, გაუფრთხილდეთ ერთმანეთს.

- არ გააზიაროთ ნებისმიერი ნარკოტიკის მისაღებად გამოყენებული ნებისმიერი ინსტრუმენტი (მილი, ბონგი, ვეიპი ან ჯოინტი, საინექციო ინსტრუმენტები) საინექციო წყლის ჩათვლით. ნებისმიერი ინსტრუმენტის (საინექციო თუ არასაინექციო) გაზიარებით იზრდება კორონავირუსით (COVID-19) ინფიცირების რისკიც;
- გაითვალისწინეთ, რომ ოპიოიდების მომხმარებლებს აქვთ სიკვდილიანობის გაზრდილი რისკი COVID-19-ით ინფიცირებისას. ამიტომ აუცილებელია მაქსიმალური სიფრთხილის გამოჩენა ინფექციის პრევენციის მიზნით;
- თუ ხართ ოპიოიდების ჩანაცვლებით თერაპიაზე, შეეცადეთ ექიმს სთხოვოთ რამდენიმე დღის დოზა მაინც გამოგატანოთ სახლში, ჩანაცვლებით ცენტრში ყოველდღიური ვიზიტების თავიდან ასარიდებლად;
- შეემზადეთ, რომ შეიძლება მოგიწიოთ არა ნებაყოფლობითი აბსტინენცია (ნარკოტიკების მოხმარებისგან თავის შეკავება) ნარკოტიკების ბაზარზე მოწოდების შეფერხების გამო; ამიტომ ყველანაირი სიტუაციისთვის იყავით მზად. მოიმარაგეთ წყალი, საკვები და ისეთი წამლები, რომლებიც დაგეხმარებათ გადააგოროთ რთული (ლომკის) პერიოდი. ოპიატებისგან დოზის თანდათან კლებით დეტოქსიკაციის ჩატარება ერთგვარი გამოსავალია. იგივე მიდგომა შეიძლება გამოიყენოთ სხვა ნებისმიერ ნარკოტიკთან მიმართებაში;
- მოიმარაგეთ სტერილური საინექციო აღჭურვილობა, რომელიც მინიმუმ 3-4 კვირა მაინც გეყოფათ - შესაძლოა მათზე ხელმისაწვდომობა შემცირდეს ვირუსის ფართო გავრცელების და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ;
- დილერისგან აღებული წამალი ან დაგდებული შეფუთვა, ნებისმიერი სახით როგორცადაც მიიღებთ დოზას, შესაძლოა დაინფიცირებული იყოს ვირუსით. ამიტომ, შეეცადეთ ჯერ პაკეტი გაასუფთაოთ სპირტიანი ტამპონით ან ზამბით. ნუ გახსნით ნარკოტიკის დაფასოებულ შეკვრას კბილებით! არასდროს იცით, ვის ხელში იყო ეს შეკვრა, სანამ თქვენთან მოხვდებოდა;
- ხელების და საგნების დასამუშავებლად გამოიყენეთ მინიმუმ 60% სპირტის ხსნარი (ვირუსი ადვილად კვდება ამ კონცენტრაციის სპირტის ზემოქმედებით), უფრო მაღალი კონცენტრაციის სპირტის ხსნარის გამოყენება არ არის საჭირო. თუ გაქვთ 100მლ-იანი 95%-იანი სამედიცინო სპირტი (ეთანოლი), დაამატეთ 30მლ გამოხდილი ან გადადუღებული და შემდეგ გაცივებული წყალი;
- დაიბანეთ ხელები საპნით და ცხელი წყლით ძალიან კარგად, მინიმუმ 20 წამის განმავლობაში, რაც უფრო დიდხანს დაიბანთ, უკეთესია და რაც მთავარია დაიბანეთ ყოველ ჯერზე, როცა კონტაქტი გექნებათ სხვა ადამიანებთან, ჩამოართმევთ ხელს, გამოართმევთ ნარკოტიკს ან ფულთან გექნებათ კონტაქტი. უფრო მეტი ინტენსივობით გამოიყენეთ სპირტიანი ტამპონები, დაამუშავეთ ყველა ნივთი, რასაც ეხებით ნარკოტიკის მომზადების ან მოხმარებისას და ნუ მისცემთ სხვას უფლებას შეეხოს თქვენს ნივთებს, ნურც თქვენ შეეხებით სხვისას. თავად მოამზადეთ ყველაფერი, საკუთარი სუფთა ხელებით;
- ეცადეთ ხელებით არ შეეხოთ სახეს, თვალებს, პირის ღრუს, ვინაიდან ვირუსი ზედაპირზე რამდენიმე საათი ძლებს და შესაძლოა არასუფთა ხელიდან იოლად დაინფიცირება. გამოიყენეთ ქაღალდის ხელსახოცები სველი ხელების გასამშრალებლად, ან სუფთა პირსახოცი, რომელსაც თქვენს გარდა არავინ გამოიყენებს.

- თუკი გაქვთ რომელიმე სიმპტომი, რომელიც COVID-19-ს ახასიათებს (ტემპერატურა, ყელის ტკივილი, ცხვირიდან გამონადენი, ხველება, კუჭის აშლა, სუნთქვის გაძნელება) ნუ შეხვდებით მეგობრებს და ნუ მიხვალთ ზიანის შემცირების ცენტრში, მათ სთხოვეთ, რომ მოგიტანონ შპრიცები და ნემსები თავად;
- გახსოვდეთ, რომ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ დაბალი იმუნიტეტი (ორსულები, მოხუცები, სიმსივნის მქონეები და სხვა), ფილტვების დაავადებები ან სხვა რაიმე ქრონიკული მდგომარეობა, COVID19-ით ინფიცირების მომატებული რისკის წინაშე იმყოფებიან და მიუხმარეთ, იმიტომ, რომ თავად არ დაინფიცირდეთ და არ გადასდეთ. დარჩით უსაფრთხოდ და ჯანმრთელად, გაითვალისწინეთ ზიანის შემცირების რჩევები;
- შესაძლებელია განვითარდეს ისეთი სიტუაცია, როდესაც გექნებათ დაბალი ხელმისაწვდომობა ნარკოტიკულ ნივთიერებებზე ნარკოტიკების ბაზარზე მოწოდების შეფერხების გამო, იყავით ფრთხილად როდესაც ნარკოტიკს ყიდულობთ უცნობი ან ახალი დილერისგან. გაყავით დოზა 4 ნაწილად და მიიღეთ დროის შუალედებით და არა ერთდროულად;
- ნარკოტიკების მიღების ყველაზე სახიფათო გზა არის ინექციური გზით მოხმარება, მოერიდეთ აღნიშნული გზით ნარკოტიკების მიღებას იმდენი ხნით რამდენადაც შესაძლებელია;
- ნარკოტიკების მოხმარების ყველაზე სახიფათო გზიდან ნაკლებად სახიფათოზე გადასვლის მოდელი ასე გამოიყურება: ინექცია - მოწვევა, შეყნოსვა - ორალური მიღება.
- ჯანდაცვის დაწესებულებები, როგორც წესი აკეთებენ მარაგებს ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი პირებისათვის მედიკამენტებზე უწყვეტი ხელმისაწვდომობის მიზნით, თუმცა შესაძლოა ცვლილებები განხორციელდეს სამუშაო საათებში და მიღების წესში, ამიტომ ფრთხილად იყავით და მაქსიმალურად შეეცადეთ დროულად მიიღოთ ინფორმაცია დაგეგმილ ცვლილებებზე;
- მაქსიმალურად ეცადეთ თავი აარიდოთ ნარკოტიკის მართო მოხმარებას, თუმცა ამავე დროს დაიცავით დისტანცია;
- წამალდამოკიდებული პირები, რომლებიც ინფიცირებულები არიან კორონავირუსით აქვთ ზედოზირების გაზრდილი რისკი, აგრეთვე სხვა თანმხლები დაავადებების არსებობა ზრდის ზედოზირების რისკს. კორონავირუსულმა ინფექციამ შესაძლოა გამოიწვიოს სასუნთქი სისტემის დაზიანება რაც აგრეთვე ზედოზირების რისკის განმაპირობებელია;
- ნარკოტიკების მოხმარებამ მოწვევით და შეყნოსვით შესაძლოა გამოიწვიოს კორონავირუსით ინფიცირებულის მდგომარეობის დამძიმება და დაავადების პროგრესირება, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია ნარკოტიკის მიღების ალტერნატიული გზა - პერორალური მიღება. პრევენციულ ზომებად მიიჩნევა ნარკოტიკის ჩვეულებრივზე დაბალი დოზის მიღება, როდესაც პირი ინფიცირებულია კორონავირუსით;
- სხვადასხვა ნივთიერებების ერთდროული მოხმარება, მაგალითად ოპიოიდები, ბენზოდიაზეპინები და ალკოჰოლი ზრდის ზედოზირების რისკს. ხანდაზმული წამალდამოკიდებული პირები შესაძლოა იყვნენ ზედოზირების განვითარების

განსაკუთრებით მაღალი რისკის ქვეშ რომელიც განპირობებულია წამლისადმი ტოლერანტობის შემცირებით;

- სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში (ცხელება, თავის ტკივილი, ხველა, ტკივილი სხეულის არეში) დარჩით სახლში მინიმუმ 14 დღე და აღკვეთეთ კონტაქტები თქვენს ირგვლივ მყოფ პირებთან. თუ ამჩნევთ მდგომარეობის გაუარესებას, პირველ ეტაპზე ტელეფონით დაუკავშირდით პირად ექიმს და იმოქმედეთ მისი რეკომენდაციის შესაბამისად. დაავადების მე- 4 - მე - 7 დღეს შესაძლოა მდგომარეობის გაუარესება, ასეთ დროს ფიქსირდება: ტემპერატურის მატება, ხველების გაძლიერება, სუნთქვის გაძნელება, ძლიერი სისუსტე. ამ შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულებაში ვიზიტი აუცილებელია;
- შპრიცების დასარიგებელი აპარატებიდან (სიგმა) პაკეტების აღებისას კლიენტებს მინიმალური რისკი აქვთ COVID19-ით ინფიცირებისთვის. თუმცა რეკომენდირებულია სიგმას აპარატზე თითის მიჭერის და პროდუქტის აღების დასრულების შემდეგ ხელების დეზინფექცია.